საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დისპანსერი

დისპნსერი (ფრანგ. dispensaire

XVIII ს-ში ჩამოყალიბებულ საქველმოქმედო აფთიაქებსა (dispensaire – საფრანგეთში) და ღარიბებისთვის განკუთვნილ სამკურნალოებში (dispensary – ინგლისში) არიგებდნენ წამლებს, რითაც ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ ავადმყოფებისთვის. მოგვიანებით, 1887, ედინბურგში (შოტლანდია) ჩამოყალიბდა სპეციალიზებული დ., რ-იც განკუთვნილი იყო ტუბერკულოზით დაავადებულთათვის.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში მსგავსი დისპანსერები (დაწესებულებები) ამოქმედდა დას. ევროპაში (საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, მოგვიანებით 1910 – რუსეთშიც). შემდგომ სსრკ-ში თანდათან გაფართოვდა დისპანსერული ქსელი და მას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ჯანდაცვის სისტემაში.

თანამედროვე გაგებით, დ. სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებაა, რ-იც ახორციელებს მოსახლეობის განსაზღვრულ კონტინგენტზე დინამიკურ მეთვალყურეობასა და კომპლექსურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

საქართველოში, პროფილის მიხედვით, არსებობდა სხვადასხვა ტიპის დისპანსერები: ტუბერკულოზის, კანისა და ვენ. სნეულებათა, ფსიქო-ნევროლოგიური, ნარკოლოგიური, ენდოკრინოლოგიური, ონკოლოგიური და სხვ.